საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა რევოლიუციონ. პარტია № 324 [illegible] პარასკევი, სექტემბრის 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

ფასი 50 კაპ.

მთავარი კომიტეტის ორგანო

## ალბულახის მცხოვრებნი იარაღს აბარებენ

## ბატ. გენ. ძ. ხნიაშვილმა ტუაფსე დასტოვა

## სექტ. 15-ს ტფილისში გაიხსნება საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიის კონფერენცია.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„სახალხო საქმე"
ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

მარიამ გიორგის ასული ანჯაფარიძისა ბავშვებით, და კონსტანტინე გრიგოლის-ძე ანჯაფარიძე ოჯახობით ულრმეს მადლობას უცხადებს ყველას ვინც პირადის დასწრებით თუ წერილობით პატივი სცა საყვარელ და ძვირფას ქმრის, მამის და ძმის

ივლიანე გრიგოლის ძის ანჯაფარიძის

ხსოვნას. 952

დარია ალექსანდრეს ასული და ლევან ლევანის ძე ჩერქეზიშვილები შვილებითურთ ეკატერინე ალექსანდრეს ასული და მიხეილ გიორგის-ძე ერისთავები და თამარ ალექსანდრეს ასული და ნიკოლოზ ილიას-ძე აბაშიძეები შვილებითურთ გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი დედის, სიდედრის და ბებიის

ნინო დავითის ასული ვახვახიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს სექტემბრის 7-ს ქ. თელავში. 954

ღრმად დამწუხრებულნი დედ-ძმა დეკანოზი დავითი და ქეთევან ბარნაბიშვილები შვილებით, რძლით და სიძეთი და ნინო დავითის ასული ნეიმანისა ქმარ-შვილით ულრმეს მადლობას უძღვნის ყველას ვინც პირადი დასწრებით, წერილობით ან დეპეშით ნუგეში სცა მათი საყვარელი

ზინა დავით ბარნაბიშვილის ასულ რაზ ქტოვსკის

უდროოდ დაკარგვის გამო.

გულდათუთქულნი და თავზარ დაცემულნი უბედური მშობლები ილარიონ ოტიას-ძე და მარიამ იოსების ასული გამყრელიძეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უძვირფასესი და დაუვიწყარი ერთად ერთი ძისა და ნუგეშის

ალექსანდრე (ალიკო) ილარიონის-ძის გამყრელიძის

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი კვირას აგვისტოს 25 (ძველი სტილით) დაბა საჩხერის ტაძარში. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

დედ-მამა ეკა იოსების ასული და გიორგი მიხეილის ძე ამილეჯიბები შვილებით და სიძეებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი შვილის ექიმ

არჩილ გიორგის-ძე ამირეჯიბის

სულის მოსახსენებლად, გადახდილ იქნება სოფელ ავლევში შაბათს სექტემბრის 7. 955

# განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების თანახმად, გზათა სამინისტროსთან, უკვე შესდგა კომისია იმ საჩივრების გასარჩევად, რომლებიც აღძრული არიან და იქნებიან საქართველოს სახაზინო რკინის გზების შტატ-გარეშე დათხოვნილ მოსამსახურეთაგან. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას, რისთვისაც ყოველი საჩივარი შტატ-გარეშე დათხოვნილ რკინის გზის მოსამსახურეთაგან უნდა იქმნეს შემოტანილი ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში, ვინაიდან ამ ვადის გასვლის შემდეგ არავითარი საჩივარი კომისიის მიერ მიღებული არ იქნება. საჩივრის შემოტანა შეიძლება ორი კვირის განმავლობაში, ყოველ დღე, გარდა უქმეებისა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, გზათა სამინისტროს საიურისკონსულტოში, პეტრე დიდის ქუჩა, № 8.

კომისიის თავმჯდომარე გზათა სამინისტროს იურისკონსულტი კ. მიქელაძე

2745.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მართებლობის მკათათვის 16-ის დადგენილებით აშენ არსდება საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება, რომლის დამფუძნებელი კრება მოხდება კვირას, ენკენისთვის 8-ს, დილის 11 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში.

დღის წესრიგია.

1. ექიმი მ. ზანდუკელის მოხსენება.
2. საზოგადოების წესდების პროექტის განხილვა და დამტკიცება.
3. საზოგადოების მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

კრებაზე დასწრება შეუძლიან ყოველ ქვეშევრდომს საქართველოს რესპუბლიკისას, ხოლო გადამწყვეტი ხმა მიეცემა იმას ვინც შეიტანს საზოგადოების მოლარესთან წლიურ ხვედრს, რომლის მიღებაც დავალებული აქვს ამავე კრებაზე ა. ხუციშვილს. 1299

# ტფილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა

აცხადებს, რომ მისაღები და განმეორებითი გამოცდები აღნიშნულ სემინარიაში დაიწყება მიმდინარე წლის სექტემბრის 20-დან (ახალი სტილით), ხოლო სწავლა—ოქტომბრის 1-დან სემინარიის პირველ კლასში მიიღებიან გამოუცდელად (უეგზამენოდ):

1. სასულიერო და უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი;
2. საშუალო სასწავლებლების ოთხ კლას გათავებულნი.
3. მეხუთე და მეექვსე კლასში გამოუცდელად და ნამდვილ მოწაფეებად მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, ხოლო თავისუფალ მსმენელად—ყველა ის პირნი, ვისაც აქვს სწავლის ცენზი არა ნაკლებ პროგიმნაზიულ (4) კლასებისა. ვაკანსიები ყველა კლასებშია, გარდა მეორისა.

1297 მმართველობა

# განცხადება

ტფ. საფერშლო სკოლის მოწაფეთა მშობლების საყურადღებოდ!

ამით ვაცხადებ, თანახმად სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებისა, რომ პირველი კლასი საფ. სკ. გაეროვნებული იქნება. გამოცდები იქნება ორ საგანში: ქართულ ენაში და არითმეტიკაში. მისაღები და განმეორებითი გამოცდები დაიწყება სექტემბრის 19-ს; ხოლო სწავლა სექტემბრის 22-ს.

პანსიონი არსებული ტფილისის საფერშლო სკოლასთან ამიერიდან დაიხურა და მშობლები მოვალენი არიან თავიანთ შვილებზე იზრუნონ. ყველა პანსიონერი დღეიდან გარედან მოსიარულე მოწაფეების რიცხვში გადაირიცხება.

1292 სკოლის გამგე: დ. ა. გედევანიშვილი.

## ტფილისი, სექტემბრის 6

**ბოლშევიკები და სომხები**

ბოლშევიკებს და სომხებს ჩვენი საზოგადოება ძალიან კარგად იცნობს. როცა საქართველოს გაჭირვების მძიმე ლოდი აწვა გულზე და თამარის პირს იდგა—ბოლშევიკები და სომხები შეხმატკბილებული სულთათანას გვიგალობდნენ და რევოლიუციონურ კადრილს უვლიდნენ. გზის ყოველ ჯვარედინზე სომეხი დაშნაკელი და რუსი-ბოლშევიკი ტიპიურეგზემპლიარს წარმოადგენდნენ კონტრ-რევოლიუციონურ საქართველოს წინააღმდეგ. ეს თილისმა ძალიან ნაცნობი იყო ჩვენთვის. ტფილისიდან ბაქოში, ბაქოდან როსტოვსა და მოსკოვში—ყველგან ბოლშევიკობდნენ სომხები. სახალხო კომისართა ცენტრალურ მთავრობაში სომხებს განსაკუთრებით ლმობიერად ეპყრობოდნენ.

მაგრამ დრონი იცვალენ. ბოლშევიკური ექსპერიმენტები დაშნაკელებს მოწყინდა, ამავე დროს ტფილისმა საქართველოსთან ერთად წელი მოიმაგრა, ხოლო ბაქოს ჰორიზონტზე საქსების ძალამ გაიელვა და სომხის ფინანსიური ბურჟუაზიის სპეკულიატიური პოლიტიკა სხვა ხასიათზე დადგა. ყველზევით რევოლიუციონერებმა, დემოკრატებმა, რომელნიც მხოლოდ თავის სამშობლოს გარედ დემოკრატობდნენ, მყისვე შესცვალეს პოლიტიკა როგორც კი საკუთარი სახელმწიფოებრიობა მოაწყეს. ამ ჟამად სომხები „სომხეთში" ყველაფერს აკეთებენ, მაგრამ მათში ნასახიც კი არ დარჩა ბოლშევიზმის. ეხლა სავსებით გამოირკვა, რომ დაშნაკელების ბოლშევიზმი მხოლოდ სხვებისთვის ყოფილა გამოგონილი და სომეხი ტფილისში სულ სხვა პოლიტიკას აწარმოებს, ვიდრე სომეხი ერევანში.

სომხების შემეცნების ასეთი ცვლილება ყველასათვის ნათელი დარჩა, ბოლოსა და ბოლოს საჭირო იყო მათ პრაქტიკულადაც დაეწყოთ მუშაობა და საქმიანობაში კი სავსებით გამოირკვა ნამდვილი სულისკვეთება სომხის პოლიტიკისა. ჩვენთვის საინტერესო არ არის მოვიგონოთ ყოველი დეტალი ამ პოლიტიკისა, ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: რუსეთის ბოლშევიკებმა გამოსცეს საგანგებო დეკრეტი, რომლითაც სომხური ნაციონალური ორგანიზაციები მოსპობილია, როგორც კონტრ-რევოლიუციონური დაწესებულებანი. ასე სამარცხვინოდ დამთავრდა ბოლშევიკების და სომხების კავშირი რუსეთში. საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მათი კავშირი გაწყვეტილი, არც რუსებს და არც სომხებს არსებითი ინტერესები არ აქვთ, რომ ინტერესთა შეჯახებამ გამოამჟღავნოს თავისი ინტერესები. რუსები სომხებს სდევნიან რუსეთში და იქნევ სომხებმა ბოლშევიზმი განდევნეს სომხეთიდან, შემდეგში ჩვენშიაც გავრცელდება წინანდელ მოკავშირეების უხდობლობა და შესაძლოა ამ ნიადაგზე არსებულ დემაგოგიას, ვაჭანალიას და პოლიტიკურ სპეკულიაციას ნიადაგი გამოეცალოს, მაგრამ ჩვენ აქ ერთი რამ გვაინტერესებს: რა მოიგო ბოლშევიკებთან მუხანათური შეკავშირებით სომხის დემოკრატიამ, რომ მოიგო სომხის ხალხმა, რომ იგი მიჰყვა თავის ბურჟუაზიის ცბიერ პოლიტიკას?—ჯერ მოიგო ის, რომ მთელს რუსეთში მათი ეროვნული ორგანოები მოსპობილია და სომხობა აღიარებულია, როგორც კონტრ-რევოლიუციონური ხალხი. აი ასეთი ნაყოფი მოიტანა სომხებისა და ბოლშევიკების კავშირმა. მაგრამ გაიგებს კი ამას სომხის ხალხი?—ვეჭვობთ.

## ქართული პრესა

ვლ. ახმეტელაშვილი აწერს თავის და ქართველთა დელეგაციის მუშაობას გერმანიაში. სხვათა შორის ძალიან ბევრი გაუკეთებია სეიმის ყოფილ წევრს ერიკ ადოლფის ძე ბერნშტეინს, რომელსაც მრავალი მოხსენება წაუკითხავს ბერლინში საქართველოს შესახებ. ავტორი ამბობს:

სხვათა შორის ერთ ერთ ასეთ მოხსენებაა დაესწრო გერმანიის ცნობილი იმპერიალისტი როორბახი. დასახელებულ მოხსენებას ბერმტეინმა სარჩულად დაუდვა ამიერ კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიური მნიშვნელობა და მისი მნიშვნელობა გერმანიისთვის და საზოგადოდ ცენტრალურ სახელმწიფოებისათვის. კრების თავმჯდომარედ იყო ბერლინის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი ელსტერი. მოხსენება ერთობ აზრიანად იყო შემუშავებული და მსმენელებიც დაკმაყოფილდნენ. მოხსენების შემდეგ კამათი გაიმართა. მოკამათეთა შორის სიტყვა აიღო ცნობილმა როორბახმა. მას ახლა საშუალება მიეცა თავისი იმპერიალისტური პოლიტიკა დამსწრე საზოგადოებისთვის გადაეშალა. მოკლე სიტყვაში აღნიშნა გერმანიის მილიტარიზმის ძლევა-მოსილება და აღმოსავლეთისაკენ გერმანიის ინდუსტრიისათვის გზის გაკაფვა. რასაკვირველია, მოხერხებულმა იმპერიალისტმა საკითხი ისე გააშუქა, საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობა ისე დაასაბუთა, როგორც გერმ. კაპიტალისათვის, გერმანიის საგარეო პოლიტიკის გაძლიერებისათვის აუცილებელი საჭიროება. მან, სხვათა შორის, სთქვა: ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკა დღითი დღე მკვიდრ ნიადაგზე სდგება. შავი ზღვის კარები გაგვეხსნა. მდ. დუნაით კავკასიას მივადექით და კავკასიის ბჭეს, საქართველოს, მეგობრულად დავუკავშირდითო. ვისაც უნდა აზიაში ფეხი მოიკიდოს, იგი უპირველეს ყოვლისა საქართველოში უნდა გამაგრდეს, აქ მოიპოვოს მეგობრული განწყობილება, უზრუნველჰყოს ამ ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლება და შემდეგ შეუდგეს შორეულ ბაზრებზე თავისი ნაწარმოების გასაღებას და იქიდან ჩვენი ინდუსტრიისათვის საჭირო ნედლი მასალის შემოტანასო.

როორბახმა ერთგვარი უკმაყოფილება გამოსთქვა, რომ გერმანიის მთავრობა ოსმალეთის დესპოტიზმს მშვენიერ საქართველოს საჯიჯგნად აძლევს და მის დამოუკიდებლობის ნიადაგზე ამ თავიდანვე გაბედულ ნაბიჯს არ სდგამსო. იმპერიალისტის „გულწრფელი" საყვედური იქ დამსწრე საზოგადოებას ჭკუაში დაუჯდა და მას მოწონების ნიშნად ვაშა შესძახეს.

## საჭირო განმარტება

ბ-ნი ნოე ცინცაძე ეროვნულ საბჭოს სხდომაზე შეეხო იმ წერილსაც, რომელიც გაზეთში მქონდა დაბეჭდილი. ნოე ცინცაძეს, როგორც მომხსენებელს, უკანასკნელი სიტყვა ჰქონდა მიცემული და ამიტომ მე საშუალება აღარა მქონდა ეროვნულ საბჭოს კათედრიდან მცირეოდენი განმარტება მიმეცა საბჭოსათვის. ბ-ნი ნოე ცინცაძე არ უნდა შეჰხებოდა იმ ჩემს მოსაზრებებს, რომელნიც ეროვნულ საბჭოს კათედრიდან არ გამომითქვამს. საგაზეთო წერილზე მას შეეძლო საგაზეთო წერილითვე გაეცა პასუხი და მაშინ ჩვენ დაახლოებით ერთნაირს პირობებში ვიქნებოდით. მაგრამ იგი ჩემს საგაზეთო წერილს შეეხო ტრიბუნიდან, მე კი იძულებული ვხდები გაზეთის ფურცლებით დავკმაყოფილდე.

მარტო პრინციპიალური საკითხი რომ ყოფილიყო აღძრული, მაშინ დიდი არაფერი იქნებოდა. მაგრამ ჩემ საგაზეთო წერილს იმნაირად შეეხო ბ-ნი ნოე ცინცაძე, რომ ბევრგან გაუგებრობა შეიძლება დაიბადოს.

ამიტომ პირადი სიტყვის ნაცვლად ამ განმარტებასა ვბეჭდავ გაზეთში.

თუმცა ყოველს ქვეყანასა აქვს დაწერილი კონსტიტუციები, მაგრამ თითქმის არსად ამ დაწერილს კონსტიტუციას ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც საკონსტიტუციო გარანტიათა ტრადიციებს. ჩვენც ყოველივე ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რაც შეიძლება მალე ესეთი საკონსტიტუციო ტრადიციები შეიქმნას, რათა კონსტიტუციის დამწერმა მხოლოდ აღბეჭდოს და გააფორმოს ის, რაც პრაქტიკულად უკვე განმტკიცებული იქნება. ჩვენ სწორედ დღესა ვქმნით ამ საკონსტიტუციო გარანტიებს.

ამიტომ ყველაფერი, რაც საკონსტიტუციო წესებს ეწინააღმდეგება, ჩვენი პარლამენტის ცხოვრებიდან უნდა განდევნილ იქმნას...

სახალხო განათლების სამინისტროს შტატების განხილვის დროს ჩემის აზრით, სწორედ იმისთანა მოვლენას ჰქონდა ადგილი, რომელიც საკონსტიტუციო ტრადიციების შესაქმნელად ცუდს პრეცენდენტად უნდა ჩაითვალოს. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აქვე უნდა განვაცხადო, რომ არავითარ ცუდს განზრახვას მე სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას არ ვაწერ ფრჩხილებს გავხსნი და პირდაპირ ვიტყვი, შეიძლება ვინმემ იფიქროს, თითქოს, ჩემის აზრით ან იმ ფრაქციის აზრით, რომელსაც მე ვეკუთვნი, სოციალ დემოკრატებმა ასე მხოლოდ იმიტომ მოიქცა, რომ სახალხო განათლების მინისტრი სოციალისტ-ფედერალისტია. საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ არც მე პირადადად არც ფრაქციას ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის გულწრფელობაში და ერთხელაც არ უფიქრია, რომ იგი ამ შემთხვევაში პარტიული საზომით

ზომავს. მე დარწმუნებული ვარ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ასე მოიქცეოდა, სახალხო განათლების მინისტრად სოციალ-დემოკრატიც რომ ყოფილიყო.

მაგრამ მიუხედავად ამისა აქაც უნდობლობის აქტი იქნებოდა, მიუხედავად ფრაქციის სუბიექტური სურვილებისა.

სახალხო განათლების სამინისტროს პროექტი საბჭოში **მთავრობის** სახელით შემოვიდა. ამ პროექტმა განვლო ყველა საპარლამენტო სტადია სრულიად, ასე ვსთქვათ, უვნებლად კომისიის მომხსენებელი თუმცა **პრინციპიალურად** ფრაქციის აზრს იზიარებდა, მაგრამ **ფორმალურად** იგი მაინც წინაალმდეგი იყო სოციალ-დემოკრატულ შესწორებებ[ი]ს მიღებისა მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიულ შესწორებების მიღებისა. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მაინც თავისი დაიჟინა და შესწორებანი შემოიტანა. რა არის ეს, თუ არა ერთგვარი აქტი უნდობლობისა მთავრობასა და თავისავე კომისიის წინაშე?

პარლამენტარისტულ ქვეყნებში ამისთანა შემთხვევის შემდეგ აუცილებლად კრიზისი მოჰხდებოდა. მთავრობა დაჟინებით მოითხოვს **ერთს**, პარლამენტის უმრავლესობა, რომელსაც მთავრობა ემყარება, დაჟინებით იცავს **მეორეს**. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ მთავრობას უმრავლესობა პარლამენტში არა ჰყოლია. ყოველ შემთხვევაში ეს ისეთი უმრავლესობაა, რომელიც ზოგიერთს შემთხვევებში მას **ჰღალატობს** და მხარს არ უჭერს. ვის შეუძლიან ამნაირ წესს ნორმალური წესი უწოდოს? არავის.

შეიძლება გვიპასუხონ, ასე თუ ვიმსჯელეთ, საპარლამენტო ფრაქცია ვერასოდეს შესწორებას ვერ შეიტანსო. ეს პასუხი უსაფუძლო იქნება. კანონ-პროექტი თავდაპირველად კომისიაში მუშავდება იქ ერთმანეთს ჰხვდებიან მთავრობა და პარლამენტი თუ საპარლამენტო უმრავლესობას ისეთი შესწორება აქვს შესატანი, რომელიც არსებითად სცვლის მთავრობის კანონ-პროექტს, მთავრობის წარმომადგენელს **საშუალება** ეძლევა **ანგარიში** გაუწიოს პარლამენტის უმრავლესობას და ან შეასწოროს კანონ-პროექტი ან უკიდურეს შემთხვევაში აშკარად გახადოს ყველასთვის, რომ იგი თავის პროექტს ნდობის საგნადა ჰხდის. არაფერი ამის მსგავსი ხსენებულ მაგალითში არა ყოფილა.

მთავრობის კანონ-პროექტმა უვნებლად გაიარა ყველა ინსტანცია და სრულიად მოულოდნელად სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სიჯიუტეს დაეჯახა. ფსიქოლოგიურად ეს სიჯიუტეც ასახსნელია. პარტიულ ძალთა განწყობილება საბჭოში ისეთია, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას მექანიკურად ყოველთვის შეუძლიან ყოველნაირი შესწორება და კანონი გაიყვანოს.

მიუხედავად ამისა ფრაქცია დღემდის ასე არ იქცეოდა. იგი ყოველთვის ცდილობდა ერთგვარი სოლიდარობა დაემყარებინა სოციალისტურ ჯგუფთა შორის, რომ მექანიკურ გარდაწყვეტილებას მეტი შინაგანი ზნეობრივი ძალაცა ჰქონოდა. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას რომ აბსოლუტრი უმრავლესობა არა ჰყავდეს ეროვნულ საბჭოში, მაშინ უმრავლესობა შემდგარი იქნებოდა რეალური კოალიციის საფუძველზე. მაშინ ამ უმრავლესობ[ი]ს სიმტკიცისთვის საჭირო იქნებოდა მოხდენა წინასწარი კომპრომისებისა დღეს სოციალ-დემოკრატებისთვის ასეთი საჭიროება არ არსებობს. მათ უმრსვლესობის **დარღვევისა** არ ეშინიანთ და ამიტომ უფრო ლაღადა ჰგრძნობენ თავსა.

ეს მდგომარეობა მაცდურია. ამას კარგადა ჰგრძნობენ თვით სოციალ-დემოკრატები და, როგორც ზევითაცა ვსთქვი, ყოველთვის თანხმობის ნიადაგზე დგებიან. ხსენებულ კანონ-პროექტის განხილვის დროს კი ამ ერთხელ აღებულ გე[ზ]ს ასცდნენ და მექანიკური ძალის საშუალებით მოინდომეს თავისი აზრის გატანა. მხოლოდ უბრალო შემთხვევას უნდა მიეწეროს მათ შესწორებათა უარყოფა.

აი ეს მქონდა მე მხედველობაში, როდესაც უნდობლობაზე ვლაპარაკობდი და არა სხვა რამ ისეთი, რასაც შეეძლო უსიამოვნო გაუგებრობა დაებადა საზოგადოებაში.

ჩემს მიერ აღძრული საკითხი კი, გვგონია, არ უნდა იყოს ისეთი, რომლის გამორკვევასა და გაშუქებას აზრი არა ჰქონდეს ჩვენი პარლამენტარიზმის ტრადიციების შესაქმნელად.

**არ. ჯაჯანაშვილი.**

# უკანასკნელი ცნობები

## ტუაფსე

ტუაფსეს სამხრეთის მიმართულებით შემოუტიეს ბოლშევიკებმა, რომელთაც ჩრდილოეთით მოაწვნენ გენ. ალექსევისა და ყუბანის მთავრობის ჯარები. ბოლშევიკთა რიცხვი 10.000 აღემატებოდა, მათ 12 ზარბაზანი ჰქონდათ. გენ. მაზნიაშვილს 10 ჯერ ნაკლები ჯარი ჰყავდა. ამის გამო მან გადასწყვიტა ტუაფსე დაეცალა და უმნიშვნელო შეტაკების შემდეგ სოჭისკენ დაახევინა თავის ჯარს ამ ჟამად ტუაფსე ბოლშევიკების ხელშია: არავითარი ნიშნები არაა იმისა, რომ ისინი წინსვლას აპირებდნენ ტუაფსეზე მოდის გენ ალექსეევისა და ყუბანის მთავრობის ჯარი.

**ალბულახის არეულობა**

სექტემბრის 4-ს ალბულახის მცხოვრებთა წარმომადგენელი ნაფიცი ვექილი ქანანოვი—პირდაპირ მავთულით დაელაპარაკა სამხედრო მინისტრის კანცელარიაში პ. დოლიძეს; მან ითხოვა: გადაეცით სამხედრო მინისტრს, რომ იარაღი უკვე შევაგროვეთ და ხვალ უკვე ჩავაბარებთ ახალშენ ასურეთში. რაც შეეხება მთავრობის საწყობებიდან დატაცებულ საქონლის შეკრებას და მეთაურების პოვნას ეს სამი დღის განმავლობაში ფიზიკურად შეუძლებელი იყო. ამ საქმეს ძლიერ ადვილად შესძლებს მთავრობის რაზმი, რომელიც ხვალ შუადღისას ალბულახში უნდა შემოვიდეს; გთხოვთ, გადასცეთ, ბ. სამხედრო მინისტრს, რომ საქმე ისეც კეთილად დამთავრდება და სისხლის ღვრა სრულიად საჭირო არ არის. მას პ. დოლიძემ უპასუხა სამხედრო მინისტრის მხრივ, რომ ჩვენი ჯარი მშვიდობიანად შევა ალბულახში. მაგრამ უფრთხილდით თქვენის მხრით არც ერთი ტყვია არ იყოს გამოსროლილიო. ქანანოვი დაჰპირდა პროვოკაციის თავიდან ასაცდენად ყოველგვარ ზომების მიღებას.

# ბაქოდან ჩამოსულებთან

სექტემბრის 4 დილის $9^1/_2$ საათზე ჩვენს რედაქციაში შემოვიდნენ სექტემბრის 3 საღამოს ბაქოდან ტფილისს ჩამოსულები ვარლამ გიორგის ძე ერისთავი, სერგო ბენედიქტეს ძე ჯაფარიძე და კოწია ოტიასძე გიორგობიანი, ესენი გამოსულან ბაქოდან აგვისტოს 15 ზღვით (ნავებით) თურქმენამდე, შემდეგ კი სოფელ მარდაკიანით, კალით, მაშტაგით, ნოვოხანით და გიუსდეკით.

ჩამოსულების გადმოცემით ბაქოში ქართველების მდგომარეობა ძფრიად უმწეოა არ არის მართალი გაზეთებში მოთავსებული ცნობა თითქოს ბაქოში ქართველებს არ ავიწროებდნენ.

ამ ჟამად ქალაქში გაბატონებულნი არიან მენშევიკები, რომელთაც ბოლშევიკების განდევნის შემდეგ მიემხრნენ დაშნაკელები. ცხოვრების პირობები ბაქოში აუწერელია. თათრებმა ყოველ მხრივ (ხმელეთით) ალყა შემოარტყეს, ალყა თან და თან უახლოვდება ქალაქს და უკვე ზარბაზნის ყუმბარებიც აზიანებს ქალაქს, არავითარი სურსათი ქალაქში აღარ შემოდის სპარსელები არაფერს უშვებენ, თათრებმა სასტიკად შეკრეს გზა, ხოლო ზღვით, (ასტრახანიდან) ბოლშევიკები არაფერს აწვდიან გამენშევიკებულ და გადაშნაკელებულ ქალაქს. პური გირვანქა 18 მანეთი ღირს, შოლარის წყალსადენი აღარ მოქმედებს და მცხოვრები ამ მხრივ დიდ გასაჭირში არიან.

ქალაქის სამრეწველო რაიონში—ბალახანა-რომანა-სურახანა ბინაგადაში მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელია. განსაკუთრებით ქართველებისათვის. საშიშია მდგომარეობა სადაც სომხები ბატონობენ. ბინაგადა-სურახანის რაიონში ქართველები იძულებით ჩარიცხეს ჯარში, ვინც არ ჩაირიცხებოდა დარჩენა აღარა შეეძლო. იყო შემაძრწუნებელი შემთხვევა. სრულიად უდანაშაულოდ შეიპყრეს გრ. ერმილესძე მიქელაძე და ლენტორ მერაბის ძე კვიტაშვილი (ძმა სვიმონ კვიტაშვილისა) და გზაში ბაქოსაკენ დახოცეს.

ჩამოსულები გვეუბნებიან: დარჩენილი ქართველები გოლტაკდნენ, დაილუპა და გაიფლანგა მ[ა]თი ქონება. წამოსულებს მარტო მენავესათვის ათასი მანეთი მიუციათ. არავის აქვს ასეთი წყარო. სიმშილი, ფიზიკური ტანჯვა, აუწერელი დამცირება, დაცინვა. საქართველო თუ არსებობს დღეს უნდა თვალი გაახილოს და ბაქოს რამდენიმე ათას ქართველობას დაეხმაროს.

თუ თათრებთან და გერმანელებთან მეგობრობა არის უნდა გამოიყენოთ ყოველივე ეს და ქართველობა გამოიყანოთ ქალაქიდან ეიდრე ისინი ზარბაზნების ლუკმა დარჩებოდნენ.

ბაქოს ქართველობა ყოველთვის ზრუნავდა დედა საქართველოს ძმებზე და ეხლა ამ უკანასკნელს მართებს ბაქოს ქართველობაზე ზრუნვაო—გვეუბნებიან ჩამოსულები.

# ომის დეპეშები

## დასავლეთის ფრონტი

**სევასტოპოლი** 9—4. (სევასტოპოლის რადიო-სადგურიდან). ჩვენმა (გერმანელებ[ი]ს) ჯარმა მწყობრად და შეუმჩნევლად დაიხია ბალეილის რაიონში. რამდენიმე. დღის შემდეგ, აგვისტოს 31-ს დილის 9 საათზე ინგლისელმა მსროლელებმა შემოგვიტიეს ბოგის რაიონში, ბალეი[ლი]ს აღმოსავლეთით. კარგი მართველობის და კომანდის წყალობით ჩვენებმა ისე შესძლეს მტრის შეჩერება, რომ მან მხოლოდ საღამოს მიაღწია დრონსეტერ-როვეტსბერგის ხაზს. ინგლისელების გამარჯვება დაიჩრდილება, როდესაც ისინი შეხედავენ, თუ როგორ მოხერხებულად იყო შემუშავებული დახევის გეგმა. ქალაქი ბალეილ, რომელიც აპრილში ინგლისელებს წავართვით უამრავი სურსათით და ამუნიციით, მათ უკან მხოლოდ დანგრეული დაიბრუნეს. თითქმის ყველაფერი აფეთქებულია. არც ერთი ხიდი არ დარჩა, მასზე გასვლა რომ შეიძლებოდეს, იმ უამრავი მასალიდან, რაც ქალაქში დასტოვეს ინგლისელებმა და ჩვენ მისი მოხმარება ვერ მოვასწარით, თან წავიღეთ.

# ახალი ამბავი

**ვ. მუსხელიშვილის დათხოვნის გამო.** ტფილისის ექიმთა საპროფესიო კავშირის გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე განიხილა ექიმ ვახტ. მუსხელიშვილის ადგილიდან დათხოვნის საკითხი და შეუწყნარებლად სცნო საქმის გამოუძიებლად და მოქალაქობრივ უფლებათა შელახვით დათხოვნა მუსხელიშვილისა. კავშირმა გადასწყვიტა დაადასტუროს და მხარი დაუჭიროს რკინის გზის ექიმთა კავშირის დადგენილებას—მუსხელიშვილის ადგილის ბოიკოტ-ქვეშ გამოცხადების შესახებ. ამასთანავე კავშირმა აღნიშნა რომ არ შეიძლება საქმეს ზიანი არ მოუტანოს სასანიტარო ნაწილზე ისეთ კომისარის დანიშვნამ, რომელსაც სპეციალური ცოდნა არა აქვს მიღებულიო.

**ამხანაგ ტომსკელ სტუდენტებს.** ვინაიდან ქ. ფოთიდან რუსეთში აუარებელი სტუდენტობა მიდის, კიევსა, მოსკოვსა, პეტროგრადსა, ხარკოვსა, სარა[ტ]ოვში და სხვაგან, მეტი არ იქნება ჩვენც ჩვენზე რაიმე ვიფიქროთ. როგორც ირკვევა, თუმცა ძნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელია ტომსკში ჩასვლა. ამისათვის მოგიწოდებთ ყველა ტომსკელებს გამოსთქვათ თქვენი აზრი ამ საგნის შესახებ. თუ აზრის გამოთქმა გაზეთის საშუალებით ვერ მოხერხდეს უმჯობესი იქნება ერთმანეთში მიწერ-მოწერით გამოვარკვით ყველაფერი.

ტომსკელი სტუდენტი ემელიანე ნოდია.

**მოლაპარაკება რკ. გზის მიმოსვლის შესახებ.** გზათა მინისტრის ი. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით სხდომა გაიმართა საქართველოს, ადერბეიჯანის, სომხეთის და ოსმალეთის რკ. გზების შესახებ. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდნენ ყოფილ ამიერ-კავკასიის ყველა სახელმწიფოს, ოსმალეთის, გერმანიის და ავსტრო-ჰუნგრეთის წარმომადგენელნი. გამოირკვა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური ხასიათის საკითხია გასაშუქებელი ამის გამო სხდომა გადაიდვა.

**დათხოვნა.** განათლების მინისტრის ბრძანებით სამსახურში დროზე გამოუცხადებლობის გამო სამსახურიდან დათხოვნილ იქნა—კავკასიის მუზეუმის უმცროსი მცველი ვ. ი. როშკოვსკი.

**რკ. გზის მთავარმა კომიტეტმა** შუამდგომლობით მიმართა მთავრობას, რომ რაც შეიძლება მალე განაახლოს შავი ზღვის რკ. გზის გაყვანა, სადაც იმუშავებს უმუშევრად დარჩენილი რკინის გზელები.

**ქალაქის თავმა ელიავამ.** სთხოვა მთავრობას, მიეცეს ქალაქს პირველი და მეორე წისქვილი.

მთავრობის თავმჯდომარემ განკარგულება მოახდინა, რომ საინტენდანტო ქონების გაყიდვისა და იჯარით გაცემის დროს უპირატესობა მიეცეს საზოგადო დაწესებულებებს.

**რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე საზოგადოების** დასაარსებლად მოწვეული კრება სექტემბრის 1-ს არ შესდგა, რადგან ხალხი ნაკლები გამოცხადდა. ამიტომ ხელმეორედ კრება დანიშნულია სექტემბრის 8-ს, მუშტაიდს დემოკრატიულ კლუბში, დილის 10 საათზე.

**მკვლელობა.** აგვისტოს 31, დესიმონოვის ქუჩაზე პირადი ანგარიშების გამო დავა ჰქონდათ მ. პოსტნიკოვსა და ვ. ჟაბინს, რომლის დროს პოსტნიკოვმა დანით მუცელში დასჩრა ჟაბინი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ის უკვე გარდაიცვალა.

**საქართველოს დამფუძნებელი კრება.** ეროვნულ საბჭოს დამფუძნებელ კრების კომისიის თავმჯდომარემ ელ ლომთათიძემ ორი ბროშიურა გამოუგზავნა ერ. საბჭოს თავმჯდომარეს. ბროშიურაში შედგენილია გეგმა დამფუძნებელ კრების არჩევნებისა და პრეზიდიუმიც განიხილავს მას.

**დელეგაცია ალბულახში.** იქ მომხდარ არეულობის გამო გაიგზავნა დელეგაცია, რომელშიაც შედიან საქართველოს, სომხების და რუსთა ეროვნულ საბჭოთა წარმომადგენელნი.

**ალბულახში.** პროპაგანდისათვის გაიგზავნენ გაგლოევი და ყაზაროვი, სასოფლო კომისიის წარმომადგენელნი.

**გაგრის საქალაქო თვითმართველობამ** შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რომ გაგრას გადაეცეს კლიმატიური სადგური და 1000 დეს. მიწა, რომელ[ი]ც სადგურთან არის. ამას გარდა ქალაქი ითხოვს, რომ მას სადგურის განკარგულებაში მყოფი 13000 დესეტინიდან გადაეცეს იმდენი, რამდენიც საჭიროა კურორტის მოსაწყობად.

**სახალხო კომისიის** წიფის რაიონიდან ატყობინებენ, რომ ბოლშევიკები, რომელთაც ამას წინად იქ არეულობა მოახდინეს, განდევნილ არიან. მიუხედავად იმისა მობოლშევიკე ჯარის-კაცები ფარულად მაინც მუშაობენ. გლეხებს ძლიერ აწუხებს სიმშილი, ნავთის უქონლობა, სიძვირე და სხვა.

**სანგა[ნ]იძე.** ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ა. გძელიშვილი (სანგანიძე) სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ მდივან-წიგნობრის თანაშემწის თანამდებობაზე მიიწვია.

**გიმნაზია მოზრდილთათვის.** წელს მოზრდილთა გიმნაზიაში იხსნება მხოლოდ პირველი, მე-4 და მე-5 კლასი. გიმნაზია მოთავსებულია ყაზბეგის ქ. № 18.

— ახალშენის უბნიდან ქართული კერძო გიმნაზია გადმოვიდა ყაზბეგის ქ. № 18. ბავშვებს ორთავე სქესისას მიიღებენ 1, მე-2 და მე-3 განყოფილებაში.

**გაძარცვა** სადგურის ქუჩაზე სექტემბრის 3-ს, საღამოთი, სადგურისაკენ მიდიოდნენ ქუთაისის მცხოვრებნი იაკობ შლოზერი და ნიკიფორე ჟულეიშვილი, რომლებსაც თავს დასცემიან ბოროტმოქმედნი და, როგორც მათ განუცხადებიათ, პირველისათვის წაურთმევიათ 19,000 მან., ხოლო მეორესათვის ფულად 1500 მან. ახალი სავაჭრო საქონელი 3000 მან ღირებული. გამძარცველებს მილიციონერები დაედევნენ აუტეხეს სროლა, მაგრამ ბოროტმოქმედებმა მოასწრეს გადამალვა.

**ხოლერა.** ქალაქის საავადმყოფოში მოათავსეს 10 ხოლერიანი და 3 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი. გარდაიცვალა 12. სექტემბრის 4-ს სულ იყო 78 ხოლერიანი და 25 ხოლერის ნიშნებით ავადმყოფი გუშინ დილით ხოლერიანთა განყოფილებაში გარდაიცვალა გაზ. „კავკაზის“ ყოფილი რედაქტორი ბელინსკი.

**გარდაცვალება.** გუშინ დილის 8 საათზე საავადმყოფოში გარდაიცვალა „კავკაზის“ ყოფილი რედაქტორი ა. თ. ბელინსკი.

**მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია** პროვინციიდან ჩამოვიდა ის. რამიშვილთან ერთად, უკანასკნელი მთავრობისაგან დეპეშით იყო დაბარებული.

**დელეგაციის დაბრუნება.** დაბრუნდა ერევნიდან გერმანელთა დელეგაციის თავმჯდომარე ფონ-კრესი და ავსტრო-უნგრეთის დელეგაციის თავმჯდომარე ბარონ ფრანკენშტეინი.

**ქურდობა.** სექტემბრის 3-ს, მიხეილის ქუჩაზე № 47 ს. დავიდოვის მაღაზიიდან ბოროტგამზრახველებმა 45,900 მან სხვა და სხვა ნივთები გაიტანეს.

**ქვა-ნახშირი.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო იხილავს საკითხს კარგი ღირსების ქვა-ნახშირის დამუშავებისა ტყვარჩელის აგარაკში, ოჩემჩირესთან. გამორკვეულია რომ იქ $13^1/_2$ მილიარდი ფუთი ქვა ნახშირია

**საეკონომიო კომისია.** საეკონომიო კომისიის წევრი გ. ნიკოლაძე (ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის ამხანაგი), უკვე გაემგზავრა ბერლინში. მეორე წევრი ამ კომისიისა ... მ. ყაუხჩიშვილი ამ დღეებში გაემგზავრება. კომისიის მიზანია—საქონლის გაცვლა-გამოცვლილისათვის მოაწყოს გერმანიის მთავრობის დახმარებით საგანგებო ბიურო.

**ჯილდო სიმამაცისთვის** ბათომის პარტიზანულ პოლკის პარტიზანებს ებოძათ გიორგის ჯვრები: 1 ხარისხისა დიმიტრი გაბუნიას, 2 ხარისხისა ანტონ ხუბულავას, 3 ხარისხისა: ბესარიონ ჯორჯიკიას, შაქრო ლომინაძეს, ალ. გვენეთაძეს, სევასტი ზაქარიაძეს, გაბო მგელაძეს, ანდრ. კოსტავას, ვლ. სასანიას, პროკოფი აბსერიძეს, დავ მეფარიანის, ალექს. შავიშვილს, ბაგრატ გაბუნიას, ნიკ. სესიაშვილს, კოტე კობახიძეს, ევს. კობახიძეს, 4 ხარისხისა: ევს. კაჭახმაძეს, ნიკ. შენგელიას, მიხ. ყოჩუაშვილს, ნიკ. ზაქარიაძეს, ვას. ურუშაძეს, ვარლამ კაჭახიძეს, ილ. გიორგობიანს, ვას. როკუას, მიხ. ხომერიკს, რომან ჯორჯიაშვილს, დავ. ლესერიძეს, ნიკ. კერკენჯიას, ირ. გობრიგიძეს (გაბრი[...]), თედ. ურიგაშვილს, გიორგი ყანჩაველს, ნიკ. ყიფიანს, ივ კევლიშვილს, გ. ღოღობერიძეს, გ ჩხეიძეს, კ ცაგურიშვილს, გ. ქემოკლიძეს, ისიდ. შულგიას, ალ. ხემსაძეს, შ ცქიტიშვილს, გრ. რევიას, ნიკ. ბოლქვაძეს, ნიკ. ალექსიძეს, მიხ. თაქთაქიშვილს, გ. ბაქრაძეს, ამბრ. ლაქყეპიანს, გერვ. შარვაშიძეს, მიხ. ქორქიას, ლავრ. გაბუნიას, გ. ლომინაძეს და გიორგი ვარდიაშვილს.

**ალბულახის მცხოვრებთა დელეგაცია.** სამხედრო მინისტრთან სექტემბრის 4 ჩამოვიდა ალბულახის მცხოვრებთა დელეგაცია.

**სახალხო განათლების სამინისტრო.** გადავიდა ახალ ბინაზე ყოფ[ილ] კადეტთა კორპუსის შენობაში.

# ალბულახის ამბები

სულ-გაბოროტებულნი და გულ გაუწმენდელნი მტერნი ჩვენი თავისუფლებისა არ ისვენებენ. მათმა შხამიანმა ღვარძლიანობამ ამ ჟამად გადმოხეთქა ტფილისის მაზრის სოფელ ალბულახსა და მის მიდამოებში. ხულიგნებმა ბედაურს ვერა დააკლეს რა და უნაგირი მილეწ-მოლეწეს, რაც სახელმწიფო ქონებათა საწყობებიდან გატანასა და გაძარცვაში და მერე ამ საწყობებისა, ყაზარმებისა და სხვა შენობათა მილეწ-მოლეწვასა ცეცხლით განადგურებაში გამოიხატა.

ალბულახი ტფილისიდან ასე სამოცი ვერსის მანძილზეა. მის ნაწილებს შეადგენენ სოფლები პოსელენიე და კონსტანტინოვკა, რომლებიც რუსებით არიან დასახლებულნი. აქვე ალბულახის ახლო მდებარეობენ სოფლები დაგედხაჩინი, სამშვილდე და, დმანისი და სხვანი. ამ სოფლებში სომხები და დმანისში კი ოსები მოსახლეობენ.

მთელი ეს ნაწილი ისედაც ჩვენდამი მტრობით გაგესლიანებული დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უფრო წათამამდნენ და აიქოჩრენ, მით უმეტეს როსაც მათ სათავეში ჩაუდგნენ შეგნებული პროპაგანდისტები, ტფილისის საბჭოს ხმოსნის და კავკავის მოთარეშეთა გმირის მერხალიოვის სკოლისანი. განსაკუთრებულ თავხედობას თავიდ[ან] იჩენდნენ ალბულახის მცხოვრებნი—რუსობა, ხოლო ამ ბოლო ხანებში მათ გვერდში ამოუდგნენ სამშვილდესა და დაგედ-ხაჩინის სომხობა და შემდეგ სხვა სოფლებიც როგორც მაგალ. დმანისელი ოსობა. ჯერ კიდევ გამოურკვეველ მეთაურების წინამძღოლობით აღნიშნულ რაიონის მცხოვრებლებმა ამა წლის იანვარში გაბედეს და ალბულახის სახელმწიფო საწყობიდან გაიტანეს 2000 ვინტოვკის სისტემის თოფი, უანგარიშო პატრონები და ბრძოლისთვის საჭირო მოწყობილებანი.

თავის დროზე ასეთ სახელმწიფოებრივ ბოროტებას ყურადღება არავინ მიაქცია, თავხედნი კიდევ უფრო წათამამდნენ და აშკარად და სისტემატიურად დაუწყეს სახელმწიფო ქონებას ძარცვაგლეჯა. აგვისტოს ბოლო რიცხვებამდე იქაურს ქონებას როგორც შეეძლოთ ფარველობდა ქართული მე 6 პო[ლკ]ის ოფიცრობა, სულ 25—30 კაცამდე.

ამ ზაფხულს რამდენიმე მოაგარაკე იყო მისული ალბულახში. როგორც ვიცით საქართ[ვე]ლოს დაბა სოფლებსაც მოედვნენ სომეხთა ლტოლვილნი. ათას სულზე მეტი გამოქცეული სომხობა შეეფარა ალბულახსაც. სხვა საშუალება რომ ვერა გამონახეს, რა გამოქცეულები ყაზარმებსა და სახელმწიფო სხვა შენობებშიაც მოათავსეს ასე გულ[ი]თ იყო მზრუნველობა ამ უბედურად მოხეტია-

ლე ხალხზე და საწინააღმდეგოც რა ექნებოდა.

აგვისტოს შუა რიცხვებიდან შეეტყო, რომ ალბულახელნი უფრო მოურიდებელსა და აშკარა გამოსვლებსაც ბედავდნენ ჩვენის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ღამით ბრბოები გამოდიოდნენ, თვრებოდნენ, თარეშობდნენ და განუკითხავად თოფების სროლით შიშის ზარსა სცემდნენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. ეს თავხედი ხალხი ქონებასაც აშკარად ეტანებოდა და მიჰქონდა თუ რამეს მოახელებდა. დღისით კი უფრო მეტი წესიერება იყო და უგონებდნენ კიდეც იქ მდგომ ოფიცრობას შენიშვნებზე არ წაეღოთ, არ გაეოხრებინათ ქონება. ბოლოს ეს გაგონება მოისპო და ხალხში რაღაც ჩუმი მუქარაც ისმოდა, თუ ოფიცრობა იქაურობას თავის ნებით არ დასტოვებდა.

აგვისტოს 24 თუ 25-ს უკვე გამომხეცურდნენ რუსისა და სომხის პროპაგანდისტებისაგან აღიზიანებულნი მოთარეშენი და ღამით საშინელი სროლა აუტეხეს სოფლის იმ ნაწილს, სადაც ყაზარმები, სამხედრო ქონებათა საწყობები და მე-6 პოლკის ოფიცრობა ბინადრობდა. როდესაც ბრბომ იგრძნო, მათ წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევდა, შეესია საწყობებს და დაიწყო ძარცვა-გლეჯა. აკლება და ძარცვა გაგრძელდა და თითქმის სამი დღის განმავლობაში აგვისტოს 29-მდე. ამ ბოროტებაში მონაწილეობდნენ, როგორც ალბულახელნი, ისე ხაჩინელი და სხვა სოფლის მცხოვრებნი.

საწყობებიდან გაიტანეს 2,500 ფუთი თეთრი ფქვილი, 760 ფუთი მარილი, ტანისამოსი, რკინეულობა, კონსერვები და აურაცხელი სხვა და სხვა ნივთიერება. მკითხველებმა იციან, რომ ალბულახი იყო მუდმივი სადგომი მე-14 გრენადერთა გრუზინსკის პოლკისა. ამ პოლკის ოფიცრობას მოწყობილი ჰქონდა ერთი მოზრდილი შენობა ეგრედ წოდებულ ოფიცერთა საკრებულოსათვის. საკრებულოში დიდძალი ძვირფასი ნივთები და ავეჯეულობა იყო შენახული. მოთარეშეებმა ეს საკრებულოც მთლად გასწმინდეს და გაძარცვეს.

როდესაც რამდენიმე მილიონებად საღირალი ქონება ხალხმა გაიტაცა, შემდეგ გამხეცებულებმა ხელი მიჰყო შენობის მტვრევასა და განადგურებას. ბოლო დღეს ცეცხლიც მოუკიდეს და გადასწვეს საწყობები, ნაწილი ყაზარმების და სხვა შენობებისა.

ალბულახის რუსობას და ხაჩინელ სომხობას ძარცვასა და ქონებათა განადგურებაში არ ჩამორჩნენ დმანისელი ოსებიც და ზოგიერთ ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნიც.

ადგილობრივ მცხოვრებლებს ალბულახში თავ-შეფარებულ ლტოლვილმა სომხებმა გადააჭარბეს. ეს უმადლო და თავის თავისთვისვე უბედური ხალხი კალიასავით მიესია სახელმწიფო ქონებას და გაიტაცა მრავალი ნივთი და სანოვაგე. მნახველებმა გადმოგვცეს ლტოლვილებმა დაბარგეს ნადავლით 30-მდე დიდი ფურგუნები, აიყარნენ ციგნებივით და წავიდნენ არ ვიცით საით: ტფილისისა, შულავერისა თუ სხვა ადგილისაკენ. სხვათა შორის მნახველებმა გადმოგვცეს კიდევ სურათი, თუ როგორი ღრიანცელით შეცვივდა ბრბო თოფებითა და კეტებით ალბულახის ოფიცერთა საკრებულოს ასაკლებად. მეთაურებმა დასძახეს: ჩვენ ნიკოლოზი აღარა გვყავს, მაშ ეს ქონება ჩვენ აღარ გვეკუთნის, დაჰკათ, დალეწეთ და აოხრეთ საქართველოს რესპუბლიკასაც ნუ შევარგებთო და შეიქნა ფანჯრებისა, კარებისა და ისეთი ნივთების მტვრევა და ლეწვა, რომელთა წაღებაც ვერ შეეძლოთ.

ქაქუჩელა.

## ცხოვრების სინამდვილიდან.

1.

„ცხოვრება გაძვირდა! ამ შემოსავალით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია", ამბობს მოსამსახურე და კატეგორიულად მოითხოვს ჯამაგირის მომატებას. ემატება კიდეც ვისაც მოთხოვნის უნარი შერჩენია.. ემატება რკინის გზის და ტრამვაის მოსამსახურეებს, ასოთ-ამწყობებს, ნოქრებს, მუშებს, ხელოსნებს, ოსტატებს..

პირველ ორ-სამ დღეს ისინი გამარჯვებას დღესასწაულობენ, სიხარულით მიწაზე ფეხს არ ადგამენ დაიმედებულნი, რომ ეხლა მაინც შესძლებენ ადამიანურ ცხოვრებას. მაგრამ...

„ცხოვრება გაძვირდა, გასავალი დღითი-დღე მატულობს და ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია", ამბობს ვისაც კი რაიმე „წასამატებელი" აქვს, და უმატებს ფასებს საზოგადო თუ კერძო დაწესებულება, ტანისამოსის თუ ფეხსაცმლის მკერავი, მედუქნე თუ მეყასბე, მეწვრილმანე თუ მეპურე, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ერი თუ ბერი..

მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ფიქცია შეიქნა. ხელ-ახლა უმწეო მდგომარეობა. ხელ-ახლა მწარე ფიქრები...

ხელ-ახლა ჯამაგირების მომატება, ხელ-ახლა გადაჭარბებული პროპორციით ფასების აწევა და ასე დაუსრულებლივ, როგორც ზღაპარში „про белаго бычка"...

ფული თითქოს ყველას ბევრი აქვს, ჯამაგირები წარმოუდგენელი, მაგრამ მდგომარეობა მაინც საშინელია.

ეს იმიტომ, რომ ფული თავისთავად არ შეადგენს რაიმე სიმდიდრეს და თავისთავად არ ჰქმნის საზოგადოების კეთილ-დღეობას. საქმე ის კი არ არის, ბევრ ფოლს მოუყარო თავი, არამედ საჭიროა შეიქმნეს ისეთი პირობები, რომელნიც ფულის ღირებულებას შესაფერ სიმაღლემდე აიყვანენ...

ცხოვრების სიძვირის საოცარი ზრდა კი მოითხოვს მეტი ფულის ტრიალს, მეტი ფულის საჭიროებას და სახელმწიფო ყოველ-დღე უფრო ინტენსიურად, უფრო „ყოჩაღად" აბრუნებს ქაღალდის ფულის საბეჭდავად მანქანის ბორბლებს, და გამოდის ახალ-ახალი „პაჩკები" და თან და თან ეცემა ფულის ფასი, მისი კურსი..

ეს სახელმწიფოს ძირს უთხრის, მისი უეჭველ „კრახს" ნიადაგს უმზადებს, უფსკრულისაკენ მიაქანებს..

საშინელ საფრთხის, დიდი განსაცდელის წინაშე ვდგევართ და ცუდი დღე მოგველის, თუ დროზე არ ჩაუკვირდით ცხოვრების სინამდვილეს და სასწრაფო ზომები არ მივიღეთ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეკონომიური და ფინანსიური „კრახი" დაასამარებს ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და გადაგვაქცევს ამა თუ იმ სახელმწიფოს ყურ-მოჭრილ მონად...

ისტორია—ულმობელია, მან არ იცის სიბრალული და შეცდომათა პატიება... ის ანიჭებს გამარჯვებას და თავისუფლებას ისეთ ერს, რომელსაც სხვისი იმედით და მოწყალებით კი არა, თვისი ძალ-ღონით და ენერგიით, სიყოჩაღით და შეგნებით, უნარით და გამჭრიახობით შეუძლია თავისს ცხოვრების განმტკიცება. მისი ლოზუნგია: ყველას თავისი! ყველას ის, რისიც ღირსია!.. ეს კარგად უნდა დავიხსომოთ!

თუ თითოეულმა საზოგადოების წევრმა მხოლოდ თავის თავზე იზრუნა ეცადა მეტის „წაგლეჯა", უნებლიედ დაეხმარა ფულის საბეჭდავ მანქანათა განუწყვეტლივ ტრიალს,—მაშინ ყველა ჩვენგანი ქვეყანას და, რასაკვირველია, თავის თავსაც მხოლოდ ზიანს მიაყენებს..

ვინ უნდა შეიგნოს ეს ყველაზე ადრე ყველაზე კარგად? ვინ უნდა იყოს ყველაზე მეტად დაინტერესებული ჩვენი ცხოვრების განმტკიცებით, თავისუფლების შენარჩუნებით?

მშრომელი ხალხი, დემოკრატია,—განახლებულ საზოგადოების ეს ბურჯი, ქვეყნის და ერის უკეთეს მომავლისათვის შეუპოვარი მებრძოლი, მისი ინტერესების საუკეთესო დამცველი... მშრომელ ხალხს არა ერთხელ ასწვია სიმშილით კუჭი. ბრწყინვალე იდეალისთვის არა ერთხელ დაუნთხევია სისხლი, არა ერთხელ მიუტანია ზვარაკი თავისუფლების სამსხვერპლოზე.

და ნუ თუ ეხლა, როდესაც ჩვენი ბედ იღბალი ჩვენს ხელთ-არის, როდესაც ჩვენზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი, ავი და კარგი,—იმდენ გონიერებას, შეგნებას და სიმწიფეს ვერ გამოვიჩენთ, რომ ჩვენვე შევიქნებით ჩვენი თავისუფლების, დამოუკიდებლობის, უკეთეს მომავლის მესამარე, მოღალატე, მტერი?!

ყოველი ახალი მოთხოვნილება მდგომარეობის გაუმჯობესებისა, მით უმეტეს კატეგორიული—ულტიმატური ხასიათის ანვითარებს ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს, ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს კრიტიკულ მდგომარეობაში აყენებს, ისედაც გართულებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს..

სახელმწიფო და ჩვენი თავი კი ერთ განუყრელ ნაწილად უნდა წარმოვიდგინოთ და მისი გაჭირვება საკუთარ გაჭირვებად უნდა ჩავთვალოთ. თუ სახელმწიფო დაუძლურდა, დაეცა,—დაუძლურდება და დაეცემა მშრომელი ხალხი, გაჰქრება და დასამარდება მისი იდეალებიც (თუნდაც დროებით).

მშრომელი ხალხი ჩვეულია მომავლისაკენ ცქერას, აღთქმულ ქვეყნისაკენ გზის გაკაფვას და დიდ დანაშაულად ჩაეთვლება მას გატაცება სადღეისო საკითხებით, დღიური ლუკმით. რად გვიღირს, ვსთქვათ, ისეთი გაძღომა, რომელიც ხვალ წელში მოგვკაკვას, მათხოვრად, მონად გადაგვაქცევს!.. განა არ გვირჩობს მუდამ გაჭირვებაში, ჭაპანწყვეტაში აღზრდილს ცოტა ხანს კიდევ გაუძლოთ გაჭირვებას, კიდევ ვიგემოთ სიმშილ-წყურვილი, თუ კი ხვალ წელში გამართული, თავისუფალი, თავის ბედიღბლის ბატონ-პატრონი შევიქნებით?!

ეკონომიური კრიზისის შექმნაზე ზრუნვა, სახელმწიფოს კრიტიკულ მდგომარეობის გამოსაწვევად ხელის შეწყობა დაულოცოდ ჩვენი ქვეყნის მტრებს, მოღალატეებს, კომბინატორებს და სპეკულიანტებს, რომელთაც მტრულად უნდა გავსცეთ პასუხი. მხოლოდ საზოგადოების დემოკრატიულმა ნაწილმა ამ პასუხსაგებ, სერიოზულ მომენტში მძიმე ტვირთი უნდა იდვას თავს—დარაჯად დაუდგეს ერის უკეთეს მომავალს, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს და მის სათავეში მდგომ მთავრობის გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლას, და ამ მიზნით მსხვერპლად შესწიროს თავისი პირადი კეთილდღეობა. ბოლოს და ბოლოს ეს იქმნება პირადი ინტერესებისაც უფრო მიზანშეწონილი და გონივრული დაცვა.

ჩვენს დემოკრატიას არა ერთხელ ჩაუბარებია ბრწყინვალედ ძნელი გამოცდები. სხვებისთვის არა ერთხელ მიუცია საუცხოო მაგალითები და დღეს, მეტად მძიმე და რთული გაკვეთილის ჩაბარების დროს, მართებს კიდევ მეტი წინდახედულება და გონიერება, სიმწიფე და გამჭრიახობა.,.

2.

დღეს, როდესაც იჭედება ჩვენი ერის ბედ-იღბალი, ჩვენი ქვეყნის მომავალი, ცხოვრებამ წამოგვიყენა მრავალი მოთხოვნილებანი, მრავალგვარი საჭიროებანი.

დღეს არის საჭირო ჩვენი ცხოვრების ნაკლულევანებათა შეგნება, ათასგვარ საჭიროებათა გათვალისწინება და სასურველ მიმდინარეობისაკენ გზის გაკაფვა; დღეს არის საჭირო მოდუნებული ცხოვრების შერხევა, ფხიზელი აზროვნება, დაუშრეტელი ენერგია, სამშობლოსათვის თავ-დადება და ერთგულება.

მაგრამ ყველაფრის ერთად განხილვა, რასაკვირველია, შეუძლებელია.

ამ წერილში მინდა შევეხო იმ ზომებს რომელნიც ეხლავე უნდა მივიღოთ და იმ ნაბიჯებს, რომელნიც ეხლავე უნდა გადავდგათ. თუ გვსურს თავიდან ავიშოროთ საშინელი კატასტროფა, ეკონომიური დაშლა-დარღვევა.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყნის წარმატებისათვის და უზრუნველყოფისათვის საჭიროა ეკონომიური ცხოვრების სიმტკიცე და ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია არა ქაღალდის, თუნდაც ოქრო ფულის რაოდენობაზე, არამედ საწარმოვო ძალთა განვითარებაზე, ღირებულებათა შექმნა-წარმოშობაზე, კაპიტალის და შრომის ნაყოფიერებაზე... ის ქვეყანა, რომელიც არაფერსა ჰქმნის, სხვებს არაფერს აწვდის, პირიქით სხვას შეჰყურებს და მხოლოდ უცხო ქვეყნიდან საქონლის შემოტანაზე ფიქრობს, ვერასოდეს ვერ დადგება მჭიდრო ეკონომიურ საფუძველზე რამდენად მეტი საქონელი მეტი ღირებულება მზადდება ამა თუ იმ ქვეყანაში, რამდენად მეტია ექსპორტი და ნაკლები იმპორტი, იმდენად ის უზრუნველყოფილია, ღონიერია ეკონომიურად და, მაშასადამე. პოლიტიკურადაც.

ჩვენი ხსნა ეკონომიური ცხოვრების განმტკიცებაშია და ამისთვის კი საჭიროა საწარმოვო ძალების ამოძრავება და აყვავება; არ უნდა არსებობდეს უსარგებლო კაპიტალი, ყოველი ცოცხალი ძალა გამოყენებული უნდა იყოს, ყველა შემოქმედებით ძალა საქონლის დაგროვების ნიადაგზე უნდა მუშაობდეს ეროვნულ სიმდიდრეს უნდა ქმნიდეს.

ამ რიგად საჭიროა დაუყონებლივ მოვახდინოთ ქვეყნის ცოცხალი ძალების მობილიზაცია, საწარმოვო ძალების განვითარებას და მრეწველობის და აღებმიცემობის გაცხოველებას შეუდგეთ.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად უნდა ვიზრუნოთ საალმშენებლო მუშაობის საწარმოებლად; უნდა შეუდგეთ გზებისა და ხიდების კეთებას, არხების გაყვანას და ჭაობების დაშრობას, რათა ერთის მხრით, თავიდან ავიშოროთ უმუშევრობა და სიმშილი და, მეორეს მხრით, შევქმნათ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებისათვის საჭირო პირობები.

ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩვენი ქვეყნის მდინარეთა და ჩანჩქერთა ენერგიის გამოყენებას იაფი ენერგიის მისაღებად; ჩვენ უნდა შევეცადოთ ჩვენი სამკურნალო წყლების, ტალახების და კურორტების გამოყენებას; ჩვენ უნდა ვიზრუნოთ სანიტარულ ტეხნიკის გაუმჯობესებაზე, ჰიგიენურ პირობების შექმნაზე. ჩვენს საზრუნავ საგანს უნდა შეადგენდეს აგრეთვე რიგიანი ბაზრის მოპოება, საქონლის რიგიან ფასებში გაყიდვა.

ჩვენ უნდა ვცდილობდეთ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე, ნედლი მასალა აქვე ადგილობრივ, გადავამუშაოთ, რომ ბაზარზე უკვე დამზადებული პროდუქტი გაუშვათ.

ეს, რასაკვირველია, მეტ ღირებულებას წარმოადგენს და იწვევს ნაკლებ ეკონომიურ დამოკიდებულებას.

მაგრამ თუ დღეს-დღეობით ამის განხორციელება სავსებით შეუძლებელია და ჩვენ, ასე თუ ისე, უნდა ვგზავნოთ საზღვარ-გარედ ნედლი მასალა, მაგ. აბრეშუმი, მატყლი და სხვა,—მათ ჩვენ უნდა მივიღოთ არა ის, რასაც შემოგვთავაზებენ და რაც შეიძლება სხვებს ზედმეტი ჰქონდეთ, არამედ ის, რაც გვესაჭიროება, თუნდაც მაგალითად, ჩვენივე მატყლიდან დამზადებული ნაქსოვის ნაწილი.

დიდის ყურადღებით უნდა მოვეპყრათ კიდევ ომის შემდეგ დარჩენილს დიდძალ საქონელს, რომელიც ეხლა-ყოველგვარ საქონელთა კრიზისის ხანაში—დიდ ღირებულებას წარმოადგენს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ $^2/_3$ ამ ქონებისა (თუ მეტი არა!) ამიერკავკასიის თუ საქართველოს რესპუბლიკისთვის გადაცემამდის დაიტაცეს. დარჩენილ ერთ მესამედს ეხლა იტაცებენ, ანიავებენ. ვიცით, რომ ვაგონობით შეიძლება შაქრის ყიდვა. ასი ფუთობით ჩაის, ათასი თოფობით მიტკლის თუ სხვა ნაქსოვის.

ესენი არიან ჩვენი თავისუფლების მოსისხლე მტრები, უცხო ელემენტები, ან მოღალატე მოძმენი, „მოკეთე მტრები", აშკარა მტრებზე უფრო საშიშნი, უფრო საზიზღარნი.

დღევანდელ პირობებში ფულის გატაცებაზე უფრო უარესი, უფრო საგრძნობი, უფრო საზარალო არის საქონლის გატაცება და ამას მთავრობა სასტიკ თვალყურს უნდა ადევნებდეს, ყველა მოქალაქე კი დარაჯად უდგეს საზოგადო ქონებას და შეძლებისდაგვარად ხელს უშლიდეს მისი ყაჩაღურ ტაციობას.

სასტიკი ზომები უნდა იქმნეს მიღებული აგრეთვე ყოველ ჯურის სპეკულიანტების წინააღმდეგ, რომელნიც ამღვრეულ წყალში თევზს იჭერენ, სახელმწიფოს გართულებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებენ და ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ძირს უთხრიან.

ჩვენ ვიცით კიდევ, რომ სოფლად დიდძალი ფულია დაგროვილი. რომ რამოდენიმედ შევაჩეროთ ფულის დასამზადებელ ექსპედიციაში ინტენსიური მუშაობა, რომ ოდნავ მაინც გავიუმჯობესოთ ფინანსიური მდგომარეობა საჭიროა ეს ფული უკან, ხაზინაში დავაბრუნოთ. ეს შესაძლებელი იქნება გადასახადების აკრეფით და ეს კი მოითხოვს მტკიცე ადმინისტრატიულ აპარატის შექმნას.

ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ სოფელი სანოვაგეს ან სრულიად არ იძლევა ან მამა-სისხლად ჰყიდის, რითაც ისედაც შერყეულ ეკონომიურ სტრუქტურაში საშინელი არევ-დარევა შეაქვს. ჩვენ ვერ დავარწმუნებთ გლეხს, რომ ხორბალი თუ სხვა რამ—იაფ ფასებში მოგვცეს, მაგრამ გვაქვს ერთი საშუალება, რომელსაც აუცილებლად უნდა მივმართოთ არც ერთი მისხალი საქონელი ფულად არ უნდა იგზავნებოდეს სოფელში; ჩვენ უნდა მივაწვდინოთ მას მარილი, შაქარი ტყავი, საპონი, მანუფაქტურა და სხვა და მათ მაგიერ მივიღოთ ის, რისიც მოცემა შეუძლია სოფელს.

არასოდეს ისე, როგორც ეხლა, თვით ჩვენზე, ჩვენს უნარზე არ ყოფილა დამოკიდებული საქართველოს ბედ-იღბალი. სწორედ ეხლა, თუ არ გვსურს თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე ხელის დაბანვა, უცხო ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიური უღლის დადგმა,—მთავრობამ დაუყონებლივ საჭირო ნაბიჯები უნდა გადადგას, საზოგადოებამ კი დიდი სიმწვავე და გონიერება, დიდი ინიციატივა და საქმიანობა გამოიჩინოს

ინჟ. ვ. კაპაბაძე.

## რესპუბლიკათა წარმომადგენლების თათბირი

ენკენისთვის 3-ს გზათა სამინისტროში შესდგა საქართველოს გზათა მინისტრის თავმჯდომარეობით თათბირი, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენელნი საქართველოსი, სომხეთისა, აზერბეიჯანისა, გერმანიისა, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალეთისა. თათბირის საგანს შეადგენდა განხილვა საკითხისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა და ოსმალეთის მომიჯნავე ოლქებს შორის პირდაპირი სარკინიგზო და საფოსტო მიმოსვლის მოწყობის შესახებ. აღნიშნულ თათბირის მიერ სამგზავრო საერთაშორისო პირდაპირი მიმოზიდვის მოწყობის საკითხის განხილვის დროს გამოირკვა, რომ წინასწარ საჭიროა ზოგიერთ პოლიტიკურ საკითხთა შესახებ მოლაპარაკება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან. შემდეგი სხდომები თათბირისა, სანამ გადასწყდებოდეს აღნიშნული პოლიტიკური საკითხები, გადაიდო.

## საქართ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ს. ს. ფ. ს. პ. სტუდენტთა კრება დანიშნული ოთხშაბათს სექტემბრის 4-ს. საღ. 5 საათზე ქვორუმის უქონლობის გამო არ შედგა; მხოლოდ შეკრებილმა ამხანაგებმა კრება დანიშნეს შაბათს სექტემბრის 7-ს. საღამ. 6 საათზე (ახ. დროით). ჩვენს სტუდენტობას არ მიეტოვება ასეთი გულ-გრილობა პარტიულ კონფერენციისადმი—ის ვალდებულია მთელის შემადგენლობით დაესწროს ამ კრებას: გაარჩიოს საკონფერენციო საკითხები და ღირსეული წარმომადგენელნი აირჩიოს მომავალ კონფერენციისთვის. (ბინა: პარტიული საკრებულოს დარბაზი.)

—

ქალების კრება. დღეს საღამოს 7 საათზე პარტიულ კლუბში (ლორის-მელიქოვის ქ.) დანიშნულია პარტიული ქალების კრება.

განსახილველია სეიონობის საკითხი პარტიული ფონდის გასაძლიერებლად.

—

დღეს, ენკენისთვის 6, ნაძალადევში გაიმართება წარსულ კრების გაგრძელება, იქნება კამათი ამხ. ვახ. კოტეტიშვილის მოხსენების შესახებ. ბოლოს მოხდება არჩევნები საკონფერენციო წარმომადგენლებისა. კრების დასაწყისი საღამოს 7 ს. (ახალი დროით).

## ქ-ნ რაზუტოვსკის ხსოვნას

მაშინ, როდესაც ქართველი ერი აღსდგა და უკვე ხეიმობს თავის გამარჯვებას, ჩვენი საყვარელი ზინა სამშობლოს უჩინარი, მაგრამ ღირსეული შვილი, ჩაიფერფლა, დიახ, ჩაიფერფლა, დაიწვა... ვინღა გაახაოებს, ვინ იქნება ასეთი ერთგული დარაჯი ყოველივე ქართულის ჩვენს წრეში, როგორიც იყო განსვენებული ზინა?

ვინ შეიტანოს მის ახლობელთა წრეში სიცოცხლეს და განსაკუთრებულ ხალისს? ხშირად, შეურაცხყოფილი თავის მოწინააღმდეგეებისაგან, იქნება მოძმენტის შეუგნებლობით მათ მიერ, ზინა მაინც არ ჰკარგავდა სულის სიმშვიდეს, და ყოველთვის და ყველას გულმოდგინედ, თავ განწირვით განაგრძობდა დაწყებულ საქმეს, თუ გინდ ეს ღირებული იყო საკუთარ სიცოცხლეთაც. ყველგან და ყოველთვის იგი ახალ გზნული ცეცხლით ცდილობდა გაეტარებინა თავისი სპეტაკი აზრები.

დიახ ზინა იყო პატარა, მაგრამ მძლავრი მუქი თავის თანამოსამსახურეთა შორის, და ჩვენც არასოდეს და გავიწყდება.

ეხლა კი რაღა გვეთქმის ჩვენ საშინელ სინამდვილის წინაშე...

მშვიდობით მეგობრებო! საუკუნოთ იყოს ხსენება შენი...

ს. ლონდორიძისა.

## მძიმე წუთები

(წერილი ტფილისის სამხედრო ჰოსპიტლიდან)

როდესაც ადამიანი რომელიმე საქმეს ემსახურება, რაც უნდა განუზომელ სიყვარულით იყოს გამსჭვალული ეს პიროვნება ამ საქმისადმი, თუ სათანადო გამოხმაურებას ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას მოკლებული იქნება იმ კრებულისაგან, რომელსაც ემსახურება, იშვიათად თუ ექნება სურვილი დაწყებულ საქმის განგრძობისა. და ყველას კარგად მოგეხსენებათ, სადაც სურვილი არ არის და „ცოტა ოდენობით" იზომება გაკეთებული საქმე, იქ არაფერი არც გაკეთებულა, და არც გაკეთდება.

მეც რომ არ მეთქვა ისედაც კარგად იციან ყველამ ეს, მაგრამ როგორც სჩანს, ის დავიწყებიათ, რომ ცოდნა და გამოცდილება არა თუ მარტო პირად ცხოვრებისათვის არის გამოსადეგი, არემედ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის კეთილდღეობისათვისაც.

თქვენ თვითონ წარმოიდგენთ მდგომარეობის სიმწვავეს, როდესაც გეტყვით, რომ ახალგაზრდა, საქართველოს რესპუბლიკის არმიის ჯარისკაცმა ლამის არის ისიც კი ვსთქვა და ისე მოვიქცე, რასაც სხვას ვუძრახდი და სათაკილოდ მქონდა მიჩნეული.

ქართველი კაცი ღირსი არაა იმ თავი-

... რამდენი ძუშა_ იანვრის 1-მდე თვიურად 200 მანეთი,

სუფლებისა, რომლის პატრონიც ეხ ა ის ტრის. პირველად, როდესაც ჯარისკაცის მაზარა ჩავიცვი და საქართველოს დედა ქალაქის ქუჩებზე შომიხდებოდა ხოლმე გავლა—ყველანი თითქოს გვერდს მივლიდნენ, მერიდებოდნენ, ეშინოდათ ჩემი. ნაცნობნი ჩამსჩიჩინებდნენ: რამ გადაგრია, რა ჩაგიცვამსო... გავიდა რამოდენიმე თვე ჩემი ჯარში ყოფნისა. სამშობლოს ცა შავი ღრუბლებით მოილუშა. გაათრებული მტერი სახლში შემოჭრას ლამობდა. ჩვენი სამხედრო ნაწილი ბრძოლის ველზე გაემგზავრა. მეც იქა ვარ. მზად ვარ ჩემი სიცოცხლე ზვარაკად მივიტანო სამშობლოს საკეთილდღეოდ ამ წუთს ჩემთვის სამშობლოზე უკეთესი არა არის რა. მზადა ვარ ერთი ასად ვიქცე და ასჯერ მოვკვდე. ერთხელ სიკვდილი მეცოტავება.. აი ამ დროს სამშობლოდან მოსულ წერილში ვკითხულობ: ხომ არ გაგიჟდი ბიჭო, ჩამოდი სახლში, თავს ტყვილად რისთვის იკლავო.—პირველად არ მჯეროდა წანაკითხი, მაგრამ როდესაც ასეთი მოპატიჟება გახშირდა და გამრავლდა ჩემ თანამემამულეთაგან, ეჭვი შემეპ რა: რაშია საქმე, მართლა ხომ არ გავგიჟებულვარ თქო და როდესაც დავრწმუნდებოდი ხოლმე ჩემ გონებრივ სისაღეში და მოქმედების უაღრესად სისწორეში, ისეთებს ყურს არ ვაქცევდი და კვლავ უშიშრად უმღერდი მტერს გულმკერდს...

სამშობლოს მოღუშულ ცაზე მზემ ოდნავ იმატა. ჩვენც ძველ ბინას დაუბრუნდით. რამოდენიმე დღის შემდეგ ბრძოლის ველიდან დაბრუნებისა ლოგინად ჩავვარდი. დილას რომ ავად გავხდი, საღამოს ექიმმა მნახა, და განაცხადა: ლაზარეთში უნდა გაიგზავნოსო. გათენდა მეორე დილა და ექიმის ბრძანების შესრულებას შეუდგნენ. გამბეს ე. წ. „დვუკოლკა", ლეშივით ცარიელ ფიცრებზე დამაგდეს და ხავთლულისაკენ გამოისტუმრეს. მოკირწყლულ ქუჩებზე დვუკოლკის რახარუხის გამო ფიცრების აქეთ იქით ვეხეთქებოდი, ტკივილებს საზღვარი არ ჰქონდა, მალე სიცხემ მიმატა და გული შემიწუხდა, თვალები დამიბნელდა და არაფერი აღარ მახსოვს, თუ როგორ მომათავსეს სამხედრო ჰოსპიტალში.

უკვე კარგი ხანია, რაც ლაზარეთში ვიმყოფები. ჩემს ირგვლივ ათასგვარ ჯურის ავადმყოფია, ერთს ფეხი არა აქვს; მეორესთვის მარჯვენა ხელი თითქო მტრის ყუმბარას წაუგლეჯია; მესამე დამბლა დაცემული საცოდავად ლუღლუღებს და სხვა. ყველას თავი შეუწირავს სამშობლოსათვის და სამაგიეროდ ელით სიმშილი და მოუვლელობით სიკვდილი! (ამის მაგალითები უკვე ბევრი იყო) მაშ რა იქნება თუ სიკვდილი არა, როდესაც დავრდომილს დასუსტებულ ადამიანს დღეში ნახევარ გირვანქა ტალახივით შავს, შვრიას პურს და ერთ საინ ლობიოს წვენს აძლევენ საზრდოდ?.

ვისაც სიარული შეუძლიან, ცოტათი მაინც არის ბედნიერი, თორემ კიდევ უფრო მწარე წუთებს განიცდის დავრდომილი ავადმყოფი. წყალი რომ მოს წყურდეს, ერთი საათი ყვირის მიწყვეტილი ხმით: „ნადია, ხასტია!" (ე. წ. სიდელიკების" სახელია) შეიძლება მოეხასიათოს როდისმე ერთი ჭიქა წყლის მოტანა და ისიც დიდის დამადლებით. აბა სად აქვს რუსის გაფუჭებულ დედაკაცს შეირალების გრძნობა რომ ბევრი მოსთხოვო რამე.

მინდა კიდევ ვსთქვა რამე, მაგრამ ავადყოფობისაგან და სიმშილისაგან დასუსტებული ხელი აღარ მემორჩილება..

ნუ თუ ამას ყურადღება არ უნდა მიექცეს? უნებლიედ მებადება კითხვა: თუ ღმერთი გწამსთ, დამანახვეთ სად არის პატრონი, სად არის ერი, რომლის კეთილდღეობისათვის სიცოცხლესაც კი არ ვნაღლობდი. არსადა სჩანს...

ვინმე ავადმყოფი.

## მწარე სინამდვილე

ყველამ იცის, რომ დღეს სოფელში არაფითარი მუშაობა არა სწარმოებს, მუშაობა არა პარტიული, რომელიც ხშირად მახინჯ ხასიათს იღებს ჩვენში და მით ხალხიც ბევრსა ჰკარგავს არამედ ის მუშაობა, რომელსაც ეწეოდა წინად ჩვენი ინტელიგენცია. სოფლის ფსიქიურ და გონებრივ სალაროში ყოველივე ხელ-უხლებელი დარჩა და ჟანგი მოედო. რევოლიუციას ჯერაც არ მიუცია ხალხისთვის რაც უნდა მიეცა. ხალხი არა მარტო მიწას და სხვ. მატერიალურ დაკმაყოფილებას მოითხოვდა და დასჯერდებოდა. საჭირო იყო მისი სულიერი ვითარებისთვის, მისი ფსიქიკისთვის ჯეროვანი ანგარიში გაგვეწია.

ან წლინახევრის რევოლიუციამ ბევრი რამ მოგვცა, მაგრამ ამ „ბევრ რამეზე" არავითარი წარმოდგენა არა აქვს ხალხს. დღეს მას უპურობა და სპეკულიაცია უფრო ეჩხირება თვალში, ვიდრე საყოველთაო არჩევნები ან საქართველოს დამოუკიდებლობა. არც ერთი ცვლილება, არც ერთი მოვლენა ან რეფორმა—დეკრეტი ხალხისთვის არ გაუცვნიათ მთელი რევოლიუციის განმავლობაში. სოფელი რაღაც სცენად გადააქციეს და ამ სცენაზე მოქცეულმა ხალხმა სრულებით არა იცოდა-რა, არც აცოდინებდნენ, თუ კულისებში რა ხდებოდა.

წინად კი სოფლად უფრო საინტერესო და სასარგებლო მუშაობა სწარმოებდა, ვიდრე ეხლა. ის სა...ი ცილისწამება, რომელიც ჩვენს ინტელიგენციას მოახვიეს თავზე, დევნა, რომელსაც იგი განიცდიდა, განმარინებელ ხრამად ჩაწვა ხალხსა და ინტელიგენციას შუა. და დღეს საუკეთესო ელემენტი ჩვენი ერისა ველურ ბრბოებთან ბრძოლაში არის ჩაბმული, წასულია გარედ და ამ გარედ ყოფნაში შინაც ისეთივე ველური ხდება ხალხში, როგორსაც ებრძვის საზღვრებზე. სადღაა გულწრფელობა, ენერგიული, გიჟური მუშაობა ხალხში, ისეთი, როგორიც სწარმოებდა რევოლიუციის პირველ თვეებში!

თუ ვინმემ რამ გამოფხიზლება, რევოლიუციონური სიცოცხლე შეიტანეს ხალხში—ეს იყვნენ არა იმ მიმართულების ხალხნი, რომელნიც სათავეში მოექცნენ თავიდანვე ჩვენ მხარეს—ამისთვის არც კი შეუწუხებიათ იმათ თავი, რადგან შეგნების და რევოლიუციონერობის ერთად ერთ საზომად მხოლოდ ერთი ფრაზა აღიარეს – ეს არის: „რუსეთის დამფუძნებელი კრება". ვინც ამას იტყოდა ის ჭეშმარიტი დემოკრატიც იყო და რევოლიუციონერიც. ამ ფრაზის გარედ ყოველივე ხელუხლებელი დარჩა, ხოლო ვინც გადასცდებოდა—კონტრ-რევოლიუციონერი იყო და ადგილი არა ჰქონდა ხალხში.

დღეს ყველას უკვირს, რომ ერობის შემოღება ისეთსავე მთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე, როგორსაც ახდენს უამრავი დეკრეტი მობილიზაციის შესახებ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. თუ გაზაფხულის სიცოცხლის ფრთები მხოლოდ და მხოლოდ ფესვებს შეეხო—ხე ვერ იხეირებს; საჭიროა რომ გაზაფხულის სიომ ყოველი ტოტი, ყოველი კვირტი შეარხიოს, მთელი ხე აამოძრაოს სტიქიურად. ჩვენი სოფელი კი მთელი წლის განმავლობაში არ შეუხებულა, არ აამოძრავებულა და არც მისი გონება გაუღვიძიათ.

ნუ თუ ერობა პირველშივე არ უნდა შემოეღოთ?

დღეს ერობა რომ გვქონდეს, სულ სხვა ხასიათი ექნებოდა დღევანდელ სოფელს, მის თეატრს, სამკითხველოს და სხვ.

„მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნება გარდაქმნის ადამიანის ცხოვრებას არა სპეკულიაციად, არამედ წმიდა საიდუმლოებად"-ო, ეუბნებოდა ოსკარ უაილდი ამერიკელებს.

და ეს სიტყვები რომ მაგონდება, უფრო ხათლად მიდგება თვალ-წინ ჩვენი ცხოვრების უკულმართობა. დღეს ისეთი სიმახინჯეა გამეფებული სოფლად და ქალაქად, რომ ხელოვნების და სილამაზის ძიება ამაოა. ეს სიმახინჯე ეპიდემიასავით მოედვა ჩვენს ქვეყანას. მთელი წლის განმავლობაში ხალხში მხოლოდ სიმახინჯე დაითესა, მხოლოდ ზანტობა. იმის მაგივრად, რომ მთელი ინტელიგენციის მობილიზაცია მოეხდინათ, დაეგზავნათ სოფლად და მით ხალხს თელი შეეტანათ, გაემართათ სახალხო კითხვები, კარგი წარმოდგენა და ლიტერატურული დილა, მთელი წელიწადი სდევნიდნენ ყველას და ხალხი კი ბოჩკების ტოფიალმა გაიტაცა, ლვინომ შეიპყრო და მთელმა სოფელმა მასიურად ლოთობა დაიწყო. იმის მაგივრად, რომ ადამიანს ადამიანი ეცნო, მოესმინა, კაცს კაცისთვის პატივი ეცა—ცემა და დევნა ასწავლეს, სიცრუე ჩაუნერგეს გონებაში და იქვით ვახავითარეს იგი.

და ვიტყვი მე—წინად უფრო ლამაზი და ფაქიზი იყო ადამიანი თავის ინსტიქტებით, თავის მისწრაფება—სურვილებით ვიდრე ეხლა. და ნუ თუ ესეც რევოლიუციის მონაპოვარია? ნუ თუ მხოლოდ რევოლიუციის იდეა ყოფილა ისეთი წმიდა და ცხოველმყოფელი, რომ იგი იდეა ზრდიდა ლამაზ ხალხს, აღვიძებდა ლამაზ საქმეს და იწვევდა ლამაზ გრძნობა-ინსტიქტებს? იდეა გვაძლევდა ყველა ამას, ხოლო თვით რევოლიუციამ კი წაშალა ყოველივე ეს და გადაამახინჯა მთლად იდეის შექმნილი? ყველამ, მიყრუებულ სოფლის მიყრუებულ ოჯახმა ც კი გაიგო რევოლიუცია რისთვისაც მოხდა: იცოდა ყველამ, ვინც იყო თვითმპყრობელი და რისთვისაც ჩამო გდეს იგი და უხაროდა ყველას ეს „სიმართლის ხმა". მხოლოდ საჭირო იყო ეს სიხარული, ეს ოდნავი აღტაცება გაეღვივებინათ დიად კოცონად, გზა მიეცათ ამ „სიმართლის ხმისთვის ქვეყნად რომ ჰქუხდა" და არა ჩაექროთ იგი. ყოყმანი, ლოდინი არ ესწავლებინათ, რომელმაც ურიასტ ნის მიერ მესიას ლოდინს გადააჭარბა.

ამ დაუსრულებელ „დაიცადე"-ს ტაქტიკამ დააკუზიანა ხალხი, ჩვენი სული დაამახინჯა.

და ეს გარემო ეხლა მხოლოდ იქვია, უნდობლობა, შური, – სიმახინჯე.

ალე.

## პანტელეიმონ კვირიკაძე
(40 დღისათვის)

ენკენისთვის 5-ს შესრულდა 40 დღე მას შემდეგ, რაც დ. ბაღდათში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა ამხ. პანტელეიმონ კვირიკაძე. განსვენებული ჯერ სულ ახალგაზრდა. იყო 28 წლისა, შვილი სოფლის მღვდლისა. მან გაათავა ტფილისის სასულიერო სემინარია. დაინტერესებული იყო კომერციული ცოდნით და გაემგზავრა კიევის კომერციულ ინსტიტუტში, მის გათავების შემდეგ შევიდა სამსახურში რკინის გზის კანტორაში, სადაც მსახურობდა უკანასკნელ ხანამდე.

პანტელეიმონი არ ეკუთვნოდა მყვირალა მოღვაწეთა ტიპებს. არ უყვარდა დიდი ლაპარაკი კრებებზე და ან სხვაგან, მაგრამ იგი ნამდვილი ჩუმი საზოგადო მოღვაწე იყო. მისი ღვაწლი დაუფასებელი არის მისი სამშობლო დ. ბაღდათისთვის და აგრეთვე ყველგან, სადაც კი უცხოვრია. ყველგან იგი ითვლებოდა საუკეთესო ამხანაგად. სოციალისტ-ფედერალისტს რწმენით და იდეალით ყველგან დიდი სიმპატია ჰქონდა დამსახურებული. ..ახსოვს პანტელეიმონის სიტყვები, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მითხრა მრავლიარემ: აწი თუ მოვკვდები, აღარ დავეძებ. დიდი დ.ნაკლისია ქართველი საზოგადოებისათვის და კერძოდ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიისათვის პანტელეიმონისთანა ამხანაგის დაკარგვა. მშვიდობით ძმაო და მეგობარო პანტელეიმონ საუკუნოდ იქნება ხსენება შენი ჩვენში.

თ კვირიკაძე.

## გორი

სოფელი ვნახე უძაღლო შიგ დავიარე უჯოხოო, სწორედ ზედ გამოჭრილია ჩვენს ქვეყანაზედ. ჩვენში ყველა ბატონობს და თვითნებობს ვისაც როგორ მოესურვება და პატრონი კი არავინ არის; ასე იყო რევოლიუციის პირველ დღეებში, ასეა ახლაც, დღეს.

გორში არსებობდა ქალაქის სასურსათო კომიტეტი, სადაც დაიკარგა ბლომად ფული (15 ათასამდე) მთავრობისა და ქალაქისა. რევიზიის წინა დღეებში გადაიკარგა გორიდან ამ კომიტეტის გამგეობის წევრი სტუდენტი ალხაზოვი (სოც.-რევ.) რომელსაც ებარა ფულები და ანგარიშები; მისი ზანდუკი ცარიელი ქაღალდებით სავსე დახვდა რევიზორებს, მისი მარჯვენა ხელი იყო როსტომოვი, ის როსტომოვი, რომელმაც ამას წინად ქუჩაში უდანაშაულოდ მოკლა დავით წულუკელი, ოფიცერი. გულ-ამღვრეული საზოგადოება მაშინ ძალიან ეჩუქრეობდა დამნაშავეებს, მაგრამ, რადგანაც გაფლანგული ფული საზოგადო იყო ამიტომ მალეც დაივიწყეს. მთავარი დამნაშავე ალხაზოვი ამლა გორში ბძანდება, მოვიდა საიდანღაც და ისევე არხეინად გრძნობს თავსა, როგორც იმ ფულების გაფლანგვის დროს და არც არავინ ხმის გამცემია აქა.

ბევრია ასეთი უპასუხისმგებლო მოხელე ჩვენს ქვეყანაში; ასეთ მაგალითის ბლომად გეტყოდით მარტო გორის ცხოვრებიდან გინდ ავიღოთ საადგილმამულო კომიტეტი, მის თავჯდომარეს დავით ჯავახიშვილს ჩვეულებათ გადაჰქცევია ამ კომიტეტის, გინდ წვრილი კრედიტის ფულების უთავბოლოდ ხარჯვა თავის თავზე. იმ დროს როდესაც სხვა მისი მოსამსახურეები ვალებში იღრჩობიან და რამდენიმე თვეა ჯამაგირები მისგან არ მიუღიათ, იმაზედ ითვლება თურმე ზედმეტი დახარჯული სახელმწიფო ფული ოთხას თუმნამდე.

მე ვფიქრობ, ამ მთვრობის ფულს იგივე დაემართება, რაც ქალაქის კომიტეტში; მისი გადამხდელი არავინ იქნება და ჩაილულის წყალს დალევს. ბევრი სხვა ასეთი ვალები აწევს ამ დავით ჯავახიშვილს.

კომიტეტმა იგი თავჯდომარეობიდან გადააყენა და მის ადგილას დანიშნა ყოვლად პატიოსანი ადამიანი შაქრო ჯავახიშვილი, მაგრამ მან მიიღო ცარიელი კასსა და არეული საქმეები.

მე ამით ის მინდა ვთქვა რომ სანამ რესპუბლიკის ყოფილი მოხელე არ იქნება პასუხის მგებელი მთავრობის თუ საზოგადოების წინაშე თავის მოქმედებაში, ასეთი ალხაზოვები და როსტომოვები ბლომად გვეყოლება, რომლებიც დაღუპავენ ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას. ჩვენ სახელმწიფოებრივი ინტერესები უნდა მაღლა დავაყენოთ კერძო ინტერესებზე; დაე ეწყინოთ, სამაგიეროდ საქმე გაკეთდება.

გორელი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

**ექიმი** ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

**ექიმი** ა. ტყეშელაშვილი ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესე მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეთხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გ რდა კვირისა. კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

**ექიმი** ი. დ. ჯაფარიძე. შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქ. № 7 ტელეფონი 17—49. 1153

**ექიმი** დ. ვ. ჯამბაშვილი. იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გა და საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფ. 14—09. 1032

**ექიმი** დ. შარაშანიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს, საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2120

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყაროლანოვის ქ. № 6.

**ექიმი** ქალი რ. ბ. შიშლო.სახაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა სამშობიარო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ეოვების ძეგლის ახლო ტელ. 14—74. 5087

**ექიმი** ნ. ი. მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 426

**ქუთაისში** მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან. ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფო სამშობიარო განყოფილებით. დასაწოლ ავადმყოფს იღებენ ყოველ დროს. 848

**ექიმი** ლ. ა. სარალიძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 1290

**ექიმი** პავლე არდაზიანი დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—2 ს მელიქოვის ქ. 12, მე-9 უბანი. 0190 № 14

**ექიმი** ე. ლ. შალამბერიძე იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7.

ქუთაისში

**ექიმი** ზ. ძორძაძე დაბრუნდა და განაახლა თვალის ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს., საღამოთი 5—6 ს. ძველი ტფილისის და ოლდენბურგის ქუჩების კუთხე. 851

**ექიმი** კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა 1219

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 3, 450

**ექიმი** ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 903

**ექიმი** ი. ქ. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ № 26. ტელ. 5—35. 270

**კერძო მიხეილის სამკურნალო მუდმივ ლოგინებით.**
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 10 საათიდან. მიხეილის პროსპექტი, 167. 774

**მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა**
რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

**ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო.**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ე. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგასაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადყოფებს $11^1/_2$ ს.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ხ. გ. ავეტისიანი—9—11 საკუთრივ ბავშვთა ავადმყ.
ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 1—2 ს. შინაგანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური-ავადმყოფობანი და ქირურგიული:
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი.

## საგუბერნატორო კურსები.
ი. ვ. ართმელაძისა
ორივე სქესისათვის (არსებობს 1895 წლიდან) კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ-დღე კურსებთან იხსნება საგანგებო განყოფილება იმმათვის, ვისაც ჰსურს ბუხჰალტერია ქართულ ენაზე შეისწავლოს. თხოვნები მიიღება აგვისტოს 20-დან სწავლა დაიწყება 918 წლის სექტემბრის 15-დან. პროგრამისა და წესდების მიღება შეიძლება კურსების კანცელარიაში: ტფილისი, ნიკოლოზის ქ. № 22, ტელ. 7—44.

**ხელოვნების მყვარებელთა კავკასიის საზოგადოება**
(გრიბოედოვის ქუჩა)
**მხატვრობის და ქანდაკების სკოლა საარქიტექტურო განყოფილებით.**
მიიღება მოწაფეები ორივე სქესისა შემდეგ სპეციალობაზე: 1) ხატვრობა, 2) ქანდაკება, 3 არქიტექტურა. კურსი ოთხ წლიანია. ნამდვილ მოწაფედ შესასვლელად საჭიროა გიმნაზიის სამი კლასის ან უმაღლეს საქალაქო სკოლების მოწმობით. გარდა ოთხ წლიანი კურსებისა მსურველთათვის იხსნება ერთ წლიანი საარქიტექტურო კურსები. სწავლა დაიწყება სექტემბრის 16-ს. ცნობების მიღება შეიძლება 11—2 ს. და საღამოს ხუთის ნახევრიდან შვიდის ნახევრ საათამდე. 921



ეროვნული ბიბლიოთეკა